მისია

სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღად, კრეატიულად და გლობალურად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი,ქვეყნის მოყვარული, აქტიური მოქალაქის აღზრდისა და სწავლებისთვის შესაბამის გარემოს და მაღალ ხარისხს.

ხედვა

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ხედვაა:
2028 წლისთვის მოხდება მოსწავლეთა უმრავლესობის (80%) ჩართვა სასკოლო, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში, მდგრადი განვითარების მიზნების პროექტების სახით პრაქტიკულად განხორციელებაში. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის პიროვნების ,მისი ნიჭის, **კრეატიულობის,** გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებას , მათ ზნეობრივად აღზრდას და სულიერად დახვეწას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეების **აქტიურ, დემოკრატიულ, ქვეყნის მოყვარული და გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.**

ღირებულებები:

პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება- მოსწავლეთა თვითმმართველობების დამოუკიდებელი საქმიანობა და სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

დემოკრატია და მონაწილეობა - თვითმმართველობის არჩევნების გზით დაკომპლექტება და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა;

სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხების დემოკრატიულად გადაწყვეტა და ყველას ჩართულობის ხელშეწყობა;

თანადგომა და თანასწორობა- სოციალური, საქველმოქმედო პროექტების ორგანიზება და ემპათიის და თანასწორობის უნარ-ჩვევების გამომუშავება .

ღიაობა და თანამშრომლობა- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა .